წარმართული კულტურის ტრადიციები იმდენად ძლიერი ყოფილა საქართველოში, რომ დავით აღმაშენებლის დროსაც კი აუცილებელი გამხდარა საგანგებო ღონისძიებების გატარება, რათა არმიაში აეკრძალათ „საეშმაკო სიმღერანი, სასოებანი და განცხრომანი და გინება ღმერთისა საძულველი". საეშმაკო სიმღერანის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ხალხური თამაშობანი, არამედ გარკვეული, ალბათ, კომედიური ჟანრის თეატრალური წარმოდგენები, არასაეკლესიო სიმღერა-გალობანი, წარმართული იერის როკვა-ფერხულები. ჩანს, ქრისტიანული ეკლესია საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა წარმართული კულტურის ცალკეულ ელემენტებს. ექვთიმე მთაწმინდელი (XI ს.) „მცირე სჯულის კანონში" ამბობს: „სიმღერანი და მთვრალობანი, მგოსნობანი და სახიობანი და ესევითართა მათ ხმათა საეშმაკონი სმენანი ბარბითებისა და ორღანოების... და წინწილათა და მომღერალთა ხედვანი ესე... უჯერო არიან, რომელ საქმენი არიან საწარმართონი". სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ იპოდრომზე ყოფნა, „მგოსან-მსახიობთა" სიმღერების მოსმენა და წარმოდგენებზე დასწრება. ხალხურ მუსიკასა და რწმენა-წარმოდგენებს ღრმა ფესვები ჰქონდა ანტიკურ კულტურაში.

ქრისტიანობის დამკვიდრება საქართველოში

ქრისტიანობის დამკვიდრება, სახელმწიფო რელიგიად მისი აღიარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, გავიხსენოთ ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები ქრისტიანულ სამყაროსთან საქართველოს უფრო ადრინდელი კავშირების შესახებ.

ლეონტი მროველის თხზულებაში მოთხრობილია ქრისტეს წამებაზე საქართველოდან წასულ ებრაელთა დასწრებისა და მათ მიერ მცხეთაში უფლის კვართის მოტანის თაობაზე: ქრისტესათვის განაჩენის გამოტანამდე „მოვიდეს მოციქულნი ურიათა იერუსალემით ურიათა თანა მცხეთელთა, ვითარმედ: „რომლისათვის იგი მოვიდეს მოგუნი და შეწირეს ძღუენი, აღზრდილ არს იგი და იტყვის თავსა თვისსა ძედ ღმერთისა. და აწ წარმოგვივლენიან ჩუენ მოციქულნი ყოველთა თანა ურიათა, რათა მოვიდნენ მეცნიერნი სჯულისანი, და განვიკითხოთ და განვებრჭოთ მას ზედა... რათა სჯული მამათა ჩუენთა შეუცვალებელ

ვჰყოთ და დავამტკიცოთ, ხოლო სიკუდილითა მისითა შური ვიძიოთ"- იერუსალიმს გაემგზავრნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. წასვლისას დედამ სთხოვა ელიოზს, არ მიეღო მონაწილეობა განაჩენის აღსრულებასა და სისხლის დათხევაში. იერუსალიმს ჩასულ ელიოზსა და ლონგინოზს „მუნ დახუდეს ჯუარცმა უფლისასა და მათ მოიღეს მუნით კუართი უფლისა..." მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს წინ მიეგება და — სიდონია „გოდებითა და ტირილითა საშინელითა, ცრემლითა შესუარული. ხოლო ვითარცა იხილა... კუართი მხსნელისა ჩუენისა, მყის წადიერებით უკუე სიყუარულით შეიტკბო მკერდსა თვისსა, და მეყუსეულად სულნი წარხდეს ნეტარსა მას დედაკაცსა". ეს ამბავი სწრაფად მოედო მცხეთას. ადერკი მეფემ მოისურვა უფლის კვართის მიღება, მაგრამ მიცვალებულს მკერდში ჩაკრული კვართი ვერ განაშორეს. „ხოლო ელიოზ დამარხა დაი იგი თვისი..., რამეთუ ერთბამად ვითარცა აქუნდა მკერდსა თვისსა ზედა კუართი იგი, ეგრეთვე დამარხნა. ხოლო წმინდა იგი კუართი წმიდავე უკუე დაშთა".

შემდგომ ლეონტი მროველი მოგვითხრობს საქართველოში ქრისტეს მოციქულთა მოსვლისა და მათ მიერ ქრისტეს რჯულის ქადაგების შესახებ: უფლის ამაღლების შემდგომ მისმა მოწაფეებმა წილიგდეს ის ქვეყნები, სადაც მათ ქრისტიანობა უნდა ექადაგათ. „მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა". მას გამოეცხადა ძე თვისი და უთხრა, რომ საქართველოში უნდა გამოეგზავნა ანდრია პირველწოდებული, „და თანა წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა". მართლაც, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით მოვიდნენ აფხაზეთსა და ეგრისს. „და მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა", მოვლო მესხეთი, ტაო და აჭარა. როცა ქართლის წარმართ მეფე ადერკის „ესმა მეგრელთაგან სჯულის დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი. და დამალნეს ხატნი და ჯუარნი, და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული". ანდრიამ მოაქცია აფხაზნი და „წარვიდა სკვითედ".

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობა მოხსენიებულია მისი ცხოვრების ბერძნულ რედაქციაშიც.

ქრისტეს მოციქულთა მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების ფაქტი საფუძვლად დაედო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას.

უძველესი ცნობები ქართლის გაქრისტიანებისა და ოფიციალურ სარწმუნოებად ქრისტიანობის აღიარების შესახებ ბერძნულ-ლათინურმა წყაროებმა შემოგვინახა. ყველაზე ადრინდელი ცნობა დაცული ყოფილა გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში", რომელიც IV ს. ბოლოს დაიწერა, დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართლის გაქრისტიანებიდან. თვით გელასი კესარიელის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მისი ცნობები ქართლის გაქრისტიანების შესახებ შესულია მომდევნო ხანის ისტორიკოსების — რუფინუსის, თეოდორიტე კვირელის, სოკრატე სქოლასტიკოსის, სოზომენეს, გელასი კვიზიკელის შრომებში. აღსანიშნავია გელასი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ მოთხრობილი ამბავი მას იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ბაკურისაგან გაუგია.

ქართლის გაქრისტიანების ამბავს მოგვითხრობს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი.

დაბოლოს, მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართული წყაროები. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ორივე ნაწილში — მატიანესა და „ნინოს ცხოვრებაში", პირველში — მოკლედ, მეორეში — ვრცლად, ოდნავი განსხვავებით, მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანების ისტორია. „ნინოს ცხოვრების" მოთხრობა განმეორებულია „ქართლის ცხოვრებაშიც", სადაც იგი შევსებულია ზოგი საყურადღებო ცნობით. ყველაზე ფართოდ გავრცელებული და პოპულარულია ლეონტი მროველისეული რედაქცია.

ბერძნული, სომხური და ქართული წყაროების მონათხრობი ერთმანეთისაგან ცალკეული დეტალებით განსხვავდება. ბერძნული წყარო ქართლის გაქრისტიანებას მიაწერს ვინმე ქრისტიან ტყვე ქალს, რომელიც ქრისტეს ძალის დახმარებით კურნავდა ავადმყოფებს და ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. მან განკურნა მძიმედ დაავადებული იბერთა დედოფალი. მცირე ხნის შემდეგ იბერთა მეფე სანადირო წავიდა, უეცრად საშინელი ბურუსი ჩამოწვა, მეფე მხლებლებს დაშორდა და გზა ველარ გაიგნო. მან დახმარება სთხოვა ტყვე ქალის ღმერთს. ბურუსი გაიფანტა. შინ მშვიდობით დაბრუნებულმა მეფემ ტყვე ქალი იხმო და დაწვრილებით გამოჰკითხა თავისი სარწმუნოების შესახებ. ამის შემდეგ დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, რომლის დროს ღმერთმა ხალხში რწმენის განსამტკიცებლად სასწაული მოავლინა: ერთ-ერთი

სვეტი მშენებლებმა ვერაფრით ვერ აღმართეს. ღამით, ტყვე ქალის ვედრების შედეგად, ეს სვეტი შვეულად გაჩერდა ჰაერში თავისი ადგილის ზემოთ და დილით, შეკრებილი ხალხის თვალწინ, თავის ადგილას დაეფუძნა. ეკლესიის აშენების შემდეგ იმპერატორ კონსტანტინესთან მიავლინეს ელჩები ეკლესიის კურთხევისა და ხალხის მოსანათლავად მღვდელმსახურთა გამოგზავნის თხოვნით, რაც კონსტანტინემ სიხარულით აღასრულა.

მოსე ხორენელის გადმოცემა იმავე შინაარსისაა, მხოლოდ აქ მოხსენიებულია ტყვე ქალისა და ქართლის მეფის სახელები — ნუნე და მიპრანი, მაგრამ ეს უკანასკნელი იხსენიება არა მეფედ, არამედ ქართლის მთავრად, რომელიც სომხეთის მეფე თრდატს ემორჩილება და ერთ-ერთია მის ოთხ სარდალთაგან. ნუნე დაკავშირებულია სომხეთში წამებულ ქალთა ჯგუფთან — ე. წ. რიფსიმიანელებთან, აგრეთვე სომეხთა განმანათლებელ გრიგოლ პართელთან, რომელსაც ეკითხება რჩევას. მოსე ხორენელი არაფერს ამბობს კონსტანტინე კეისართან ელჩობის გაგზავნის თაობაზე.

ივ. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ აზრი გრიგოლ განმანათლებლის ქართლის მოქცევაში მონაწილეობის შესახებ გავრცელებას იწყებს მხოლოდ VI ს. შუა ხანებიდან და გრძელდება VIII საუკუნემდე, შემდეგ კი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. ამას ახსნა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ეძებნება, რაზეც სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ქართულ წყაროში დაწვრილებითაა გადმოცემული ნინოს წარმომავლობა, სადაურობა, მშობლების ვინაობა, ბავშვობა, მშობლებთან განშორების შემდეგ იერუსალიმში დვინელ სომეხ ქალთან ცხოვრება, ურთიერთობა ელენე დედოფალთან, რიფსიმიანელებთან, სომხეთში მისვლა, თრდატისაგან რიფსიმიანელთა წამება, ნინოს მოსვლა ჯავახეთში (ღვთის ჩაგონებით), იქიდან კი ურბნისის გზით — მცხეთაში, არმაზის ღღესასწაული, კერპების მსხვრევა, ლოცვა მაყვლოვანში, ნინოს ცხოვრება სამეფო „სამოთხის" მებაღის ოჯახში, მკურნალობა, ნანა დედოფლის განკურნება, მირიანის ნადირობა და მოქცევა, ჯვრების აღმართვა (მცხეთის ჯვრის ადგილას, თხოთის მთაზე, უჯარმაში), სვეტიცხოვლის აგება და მასთან დაკავშირებული სასწაული, ელჩების გაგზავნა კონსტანტინე კეისართან და მღვდელმთავართა ჩამოსვლა, ნინოს შემდგომი მოღვაწეობა, დასნეულება და გარდაცვალება.

საყურადღებოა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დათარიღების საკითხი. მისი უძველესი ჩვენამდე მოსული ტექსტი X საუკუნისაა და შესულია „შატბერდის კრებულში“. ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე თხზულებას IX საუკუნით ათარიღებდნენ, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, მ. თარხნიშვილი, ს. ჯანაშია, ი. ლოლაშვილი და ზოგი სხვა მკვლევარი მის შექმნას VII საუკუნეში ვარაუდობდნენ. უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრებით, „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია IV ს. შუა ხანებში უნდა დაწერილიყო (მ. ჩხარტიშვილი, რ. სირაძე და სხვ.). იგი ნინოს თანამედროვეთა (სალომე უჯარმელი, პეროიავრ სივნიელი, მეფე მირიანი, იაკობი თუ აბიათარი) მიერ უნდა იყოს შექმნილი. შემდგომში მას მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებები განუცდია.

როდის უნდა მომხდარიყო ქართლის გაქრისტიანება და ვინ იყო მაშინ ქართლის მეფე?

ქართულ-სომხური წყაროების თანახმად, ქართლში ქრისტიანობა დაამკვიდრა მეფე მირიანმა. მაგრამ არსებობს ერთი წყარო — პეტრე იბერის ცხოვრების ასურული ვარიანტი, რომელიც ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ ასახელებს არა მირიანს, არამედ პეტრე იბერის პაპას — ბაკურს. მის დასახასიათებლად ავტორი აღნიშნავს, რომ ბაკური კვირაში სამჯერ გვიდა ეკლესიას თავისი ხელით, მისი ბრძანებით სასახლეში მზადდებოდა საჭმელი, რომელიც მას თავად მიჰქონდა გლახაკთა სახლში და საკუთარი ხელით აჭმევდა დავრდომილებს. მიჩნეულია, რომ „ცხოვრების“ ავტორი პეტრესთან დაახლოებული პირი იყო და თვით პეტრესგან ჰქონდა მოსმენილი მისი წარმომავლობის ამბავი. ცხადია, 409—412 წწ. დაბადებულ პეტრეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ის გადმოცემა ქართლის მოქცევის შესახებ, რომელიც მის დაბადებამდე ოციოდე წლით ადრე უამბნია გელასი კესარიელისათვის ქართლის სამეფო სახლის ერთ-ერთ წარმომადგენელს. ცხადია, ეს გარემოება უნდა სცოდნოდა პეტრეს „ცხოვრების“ ავტორსაც და იგი არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებდა, მაგალითად, ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული სასწაულების აღნიშვნას, ისინი რომ კავშირში ყოფილიყო ბაკურის სახელთან. აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ცნობა იმის შესახებ, თითქოს ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო ბაკური, გვიანდელი ჩანამატია პეტრეს განსადიდებლად და არ ეკუთვნის თვით „ცხოვრების“ ავტორს.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართლის გაქრისტიანების სხვადასხვა თარიღია მოცემული. კ. კეკელიძე ასეთ თარიღად 355—356

წლებს მიიჩნევდა და თავის მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდა: ჯერ ერთი, რუფინუსთან და, მაშასადამე გელასი კესარიელთანაც, ქართლის მოქცევას წინ მოთხრობილი აბაშთა გაქრისტიანების ამბავი, რაც 355—356 წლებში უნდა მომხდარიყო (თუმცა თვით წყაროს მიხედვით აბაშთა გაქრისტიანება კონსტანტინე დიდის დროს მომხდარა); მეორე, ქართლის მოქცევის შესახებ გადმოცემებში ლაპარაკია მზის დაბნელებაზე. ცნობილია, რომ 355 წ. 25 მაისს მოხდა მზის დაბნელება, რომელიც ვრცელდებოდა მცხეთა-კასპის რაიონზე; მესამე, ევსევი კესარიელმა, კონსტანტინე დიდის უახლოესმა პირმა, 338 წ. დაწერა ისტორიული ხასიათის თხზულება „კონსტანტინეს ცხოვრება“, რომელშიც კონსტანტინეს მოღვაწეობის არც ერთი წვრილმანი არ არის გამოტოვებული, განსაკუთრებული სიზუსტითაა აღწერილი მისი სარწმუნოებრივი საქმიანობა. კ. კეკელიძის აზრით, შეუძლებელია ევსევი კესარიელს არ სცოდნოდა იბერთა გაქრისტიანების ამბავი და გამოეტოვებინა იგი, ეს რომ ნამდვილად მომხდარიყო კონსტანტინე დიდის დროს.

ივ. ჯავახიშვილმა უარყო კ. კეკელიძის მოსაზრება და აღნიშნა, რომ უძველეს გადმოცემებში ქართლის გაქრისტიანების შესახებ ლაპარაკია არა მზის დაბნელებაზე, არამედ ბურუსზე. მზის დაბნელებაზე ლაპარაკი იწყება მხოლოდ XI საუკუნიდან. ე. ი. მზის დაბნელების თარიღით ქართლის გაქრისტიანების თარიღი არ დადგინდება. მით უმეტეს, რომ როგორც თვით კ. კეკელიძე მიუთითებს, მზის დაბნელება მომხდარა 319, 346, 348 წლებშიც. რაც შეეხება „კონსტანტინეს ცხოვრებაში“ ქართლის გაქრისტიანების ამბის მოუხსენიებლობას, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ ქართლის გაქრისტიანება კონსტანტინეს მონაწილეობის გარეშე მომხდარა და ამიტომ ეს ფაქტი ევსევის თავის თხზულებაში არ შეუტანია. ახგარიშგასაწევია ისიც, რომ IV—V სს. ბერძნულ-ლათინური წყაროებით დაწყებული, ყველა მომდევნო წყაროს თანახმად, ქართლის გაქრისტიანება იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს მომხდარა.

ქართლის გაქრისტიანების თარიღად ივ. ჯავახიშვილს 337 წლის ახლო ხანები მიაჩნდა. დღეს სწორედ ეს თარიღია მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ზოგჯერ 331 წელია მითითებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუმცა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად ქართლში 337 წ. გამოცხადდა, იგი აქ ბევრად უფრო ადრეული პერიოდიდან ვრცელდებოდა. საფიქრებელია, რომ

ქრისტიანული თემები ჯერ დიდ ქალაქებში ჩნდებოდა, მათგან უპირველესად — მცხეთაში. მკვლევრები მიუთითებენ მცხეთელ ებრაელთა („ჰურიანი ქართუელნი") როლზე ქართლში ქრისტიანობის დამკვიდრებაში.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს გაქრისტიანებას, სახელმწიფო სარწმუნოებად მისი გამოცხადების თარიღად, ჩვეულებრივ, 523 წელია მიღებული. ამის საფუძველია VIII—IX სს. ბიზანტიელი მწერლის თეოფანე ყამთააღმწერლის ცნობა ლაზთა მეფე წათეს სპარსთაგან განდგომის, კონსტანტინოპოლში ჩასვლისა და ქრისტიანობის მიღების შესახებ 523 წელს.

მაგრამ VI ს. მწერალი იოანე მალალა, რომლის ნაშრომიც წარმოადგენს წყაროს თეოფანე ყამთააღმწერლისათვის, ამ ფაქტს სხვაგვარად გადმოგვცემს. მისი სიტყვით, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, წათეს ჯერ მიუტოვებია ქრისტიანობა და წარმართულ სარწმუნოებაზე გადასულა, მაგრამ შემდეგ, ისევ პოლიტიკური მოსაზრებით, კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებია. სწორედ ამ მიზნით ჩასულა იგი კონსტანტინოპოლში და ხელახლა მონათლულა.

უახლეს გამოკვლევათა საფუძველზე, ეგრისის გაქრისტიანების თარიღად 523 წელი ვერ გამოდგება. ეს ფაქტი უფრო ადრე, კერძოდ, ახ. წ. IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

ამ მხრივ საინტერესოა პროკოპი კესარიელის ერთი ცნობა: იგი წერს, რომ აფშილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგან ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა მის მიერ მოხსენიებული ტომები. ყველაზე ხშირად კი პროკოპი ლაზებს იხსენიებს, ე. ი. „ძველთაგანვე ქრისტიანებში" იგი სწორედ ლაზებს გულისხმობს. ცხადია, VI ს. ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ვერ იტყოდა ლაზებზე — ძველთაგან ქრისტიანები არიანო, ისინი რომ მხოლოდ VI ს. 20-იან წლებში გაქრისტიანებულიყვნენ.

ნიშანდობლივია აგრეთვე გელასი კვიზიკელის (V ს). ცნობა: „იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არ სწამდათ". როგორც ვხედავთ, V საუკუნეში ლაზეთის გაქრისტიანება დიდი ხნის მომხდარ ფაქტად და იბერიის გაქრისტიანების თანადროულ, ე. ი. IV ს. მოვლენად იყო მიჩნეული.

გარდა ამისა, 325 წელს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში იხსენიება „პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე". IV ს. პირველი მეოთხედის ბოლოს ბიჭვინთაში საეპისკოპოსო კათედრის არსებობა და მისი მღვდელმთავრის მონაწილეობა მსოფლიო საეკლესიო კრებაში უეჭველად მოწმობს იმ დროს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებასა და დამკვიდრებას.

ამასვე მოწმობს ბიჭვინთაში უკვე IV—V საუკუნეების ფენებში ქრისტიანული სიმბოლოების — ჯვრების აღმოჩენის ფაქტი; ბიჭვინთის ცნობილი მოზაიკა, რომელიც V საუკუნით თარიღდება და ქრისტიანულ წარწერებს შეიცავს. ბიჭვინთაში აღმოჩნდა III საუკუნის მიწურულის ადრექრისტიანული სტელა, სამალავ ბუდეში ჩასმული რკინის ჯვრით. ჯვრის გამოსახულებები გვხვდება აგრეთვე წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩენილ კერამიკულ და მინის ჭურჭელზე. წებელდის ნეკროპოლის საძარხთა უმრავლესობაზე დაკრძალვის წესიც წმინდა ქრისტიანულია. IV საუკუნით თარიღდება ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით — „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა" და ოქროს პატარა ჯვარი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს IV-V სს. ეკლესიების აღმოჩენას ნოქალაქევში. პირველი ეკლესია IV ს. შუა ხანებით თარიღდება, მომდევნო პერიოდის დიდი სამნავიანი ბაზილიკა V ს. შუა ხანებში ჩანს აგებული. ორივე მათგანი მტერს დაუნგრევია. VI ს. დასაწყისში მესამე ეკლესია აუგიათ.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას დაახლოებით იბერიის თანადროულად უნდა ჰქონოდა ადგილი.

ბუნებრივია, ახალი სარწმუნოება წინააღმდეგობის გარეშე არ დამკვიდრებულა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანე გვაწვდის ცნობას დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც ნინოს ქრისტიანობის ქადაგების დროს შეხვედრია. მცხეთიდან ნინო არაგვის ხეობაში წავიდა, „უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი... მთიულთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა", ხოლო მათ „განუყარეს თავი, და ერისთავმა მცირედ წარჰმართა მახვილი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დასალეწად." ამის შემდეგ ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ყალეთს, დაბასა ედემს, ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე

[illegible] ჰამაჰრბეს თოშეთა“. „და სხუანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება“.

ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანობა არ მიუღია თვით მირიან მეფის სიძეს ფეროზს: „არა ნათელ იღო ფეროზ, სიძე მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან; არცა ერმან მისმან ნათელ-იღო, არამედ ხორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა“.

ბრძოლა წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა. განსაკუთრებით მტკიცედ იცავდნენ მას მთის თემები — როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ქრისტიანობის მიღება-დამკვიდრებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მან ხელი შეუწყო ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის განმტკიცებას, ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარებამ მკაფიოდ გამოკვეთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, მჭიდროდ დაუკავშირა საქართველო აღმოსავლურ- ქრისტიანულ (და, საერთოდ, ქრისტიანულ) სამყაროს.

ქრისტიანობის დამკვიდრებით ახალი პერიოდი იწყება ქართული კულტურის ისტორიაში. საფუძველი ეყრება მწიგნობრობის, ლიტერატურის, მეცნიერების რიგი დარგების არნახულ აღმავლობას, ვითარდება ხუროთმოძღვრება, ფერწერა (ფრესკული მხატვრობა, მინიატურა), ხატწერა, რელიეფური ქანდაკება. ხელსაყრელი პირობები იქმნება კულტურულ მონაპოვართა გაცვლისათვის ახლო თუ შორეულ ქრისტიან მეზობლებთან.

ქრისტიანობას საქართველოში უძველეს წარმართულ საფუძველზე დაშყარებული მაღალგანვითარებული კულტურა დახვდა. ცხადია, ახალი და ძველი სარწმუნოების ჭიდილში წარმართული კულტების ასრულებასთან დაკავშირებული მრავალი ძეგლი განადგურდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ ბევრი რამ შეითვისა ქართული წინაქრისტიანული კულტურიდან, ამიტომ მან სრულიად ორიგინალური, ეროვნული სახე მიიღო. ძველი ტრადიციების გავლენასა და ანარეკლს ნათლად დავინახავთ ხუროთმოძღვრებაში, ზეპირსიტყვიერ და მუსიკალურ ფოლკლორში, ქრისტიანულ სიმბოლიკაში, ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ იმის გამო, რომ ახალი

კულტურა პირწმინდად კი არ იკვეთდა ძველ, ტრადიციულ ფესვებს, რომლებიც მას ამა თუ იმ ქვეყანაში ხვდებოდა, არამედ ეფუძნებოდა მათ, ითვისებდა და გადაამუშავებდა ქრისტიანულ ნიადაგზე, მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების კულტურებიც კი სრულიად გამოკვეთილად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა მათ ერთიანი იდეოლოგიური საფუძველი და, აქედან გამომდინარე, ბევრი რამ საერთო და მსგავსი გააჩნიათ.

ქართული დამწერლობა

დამწერლობა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ მისი წყალობით მოაღწია ჩვენამდე ძველმა, დღეს უკვე არარსებულმა ენებმა. დამწერლობასა და მის ისტორიას სწავლობს ორი სამეცნიერო დისციპლინა — პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა. პირველი სწავლობს ძველ დამწერლობათა სისტემებს (შესაბამისად, არსებობს ქართული პალეოგრაფია, სომხური, ბერძნული, რუსული პალეოგრაფია და ა. შ.), მეორე — მაგარ ზედაპირზე (ქვა, ხე...) შესრულებულ წარწერებს.

დამწერლობა წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. უძველეს დროს ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტს ზეპირი მეტყველების მეშვეობით ამყარებდნენ. იმ დროიდან, როდესაც ადამიანებს გაუჩნდათ თავიანთი აზრების დაფიქსირების მოთხოვნილება, მანამდე, სანამ შეიქმნებოდა დამწერლობა სიტყვის თანამედროვე გაგებით, საკმაოდ ხანგრძლივმა პერიოდმა განვლო.

პირველყოფილი ადამიანები საგნების სიმბოლიკას მიმართავდნენ. მაგალითად, ზოგიერთ ხალხში ქვა აღნიშნავდა მაგარს, მტკიცეს; ნახშირი — მწუხარებას, უბედურებას; ომის გამოცხადებისას ერთმანეთს უგზავნიდნენ ისრებს, შუბს ან სხვა იარაღს, მტრობისა და სიძულვილის ნიშნად — წიწაკას, სიყვარულისა და მეგობრობის გამოსახატად — მარილს და ა. შ.

„ისტორიის მამად“ წოდებული ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე სპარსეთის მეფე დარიოს გისტასპის ლაშქრობების აღწერისას მოგვითხრობს, რომ, როცა სპარსელებმა სკვითებს დამორჩილება მოსთხოვეს, სკვითებმა მათ გაუგზავნეს ჩიტი, ბაყაყი, თაგვი და ხუთი ისარი. ეს იყო თავისებური ნოტა, რომელიც ნიშნავდა: თუ თქვენ არ შეგიძლიათ ჩიტივით ფრენა, თაგვივით მიწაში ან ბაყაყივით